EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

17 ნოემბერი, 2026

Wildberries-ის ქართული გეგმები

დამფუძნებლის დასანქცირების ფონზე
კომპანია საქართველოში
მასშტაბურად ფართოვდება



ტატიანა კიმი

Wildberries-ის ქართული გეგმები - დამფუძნებლის დასანქცირების ფონზე კომპანია საქართველოში მასშტაბურად ფართოვდება

ევროკავშირმა Wildberries-ის მფლობელი ტატიანა კიმი დაასანქცირა - ბრიუსელის შეფასებით, კომპანია რუსეთის ერთ-ერთი უმსხვილესი გადასახადის გადამხდელია და რუს სამხედროებს აღჭურვილობის შეძენას უადვილებს. საქართველოში კი Wildberries-ის ოპერატორი გაფართოებას აგრძელებს - ქალაქ რუსთავთან სახელმწიფოსგან 19 ჰექტარზე მეტი მიწა შეიძინა, სოფელ გამარჯვებაში საწყობი იჯარით აიღო და თბილისში ტაქსის სერვისის გაშვებისთვის ემზადება. ქართული ოპერატორის „ტრანსკომ გრუპის“ თავდაპირველი მფლობელი ბანკ „ქართუს“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ლაშა მეგრელიძე გახლდათ. 2024 წლიდან კომპანიის დირექტორი და 100% იანი წილის მფლობელია „ქართული ოცნების“ შემომწირველი და ამავე პარტიის დეპუტატის გიორგი ბარვენაშვილს ბიზნესპარტნიორი სერგი თვალჭრელიძე.

სანქციები Wildberries-ის წინააღმდეგ

2026 წლის 16 ნოემბერს ევროკავშირმა სანქციების სიაში შეიყვანა რუსეთის უმსხვილესი ონლაინსავაჭრო პლატფორმის, Wildberries-ის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ტატიანა კიმი. მას ევროკავშირში აქტივები ეყინება და ეკრძალება შესვლა და ტრანზიტი. ევროკავშირის იურისდიქციაში მოქმედ პირებს ეკრძალებათ მათთვის თანხებისა და ეკონომიკური რესურსების მიწოდება. გადაწყვეტილება იმ პაკეტის ნაწილია, რომლითაც ევროკავშირმა რუსეთის ომის დაფინანსების შესაძლებლობის შესაზღუდად სიას 113 ფიზიკური და იურიდიული პირი დაამატა. [1, 2]

Wildberries-ის მფლობელის დასანქცირება მხოლოდ პერსონალურ შეზღუდვად არ უნდა განვიხილოთ. მას შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს თავად კომპანიის საქმიანობაზეც. ევროკავშირის სანქციების წესების თანახად, თუ სანქცირებული პირი კომპანიის 50%-ზე მეტს ფლობს ან მას აკონტროლებს, სანქციებით გათვალისწინებული შეზღუდვები, როგორც წესი, ამ კომპანიაზეც ვრცელდება. ტატიანა კიმი Wildberries-ის 100%-ს ფლობს, ხოლო გაერთიანებულ კომპანია RWB-ში (Wildberries & Russ) მისი ირიბი წილი 65%-ს შეადგენს.

შესაბამისად, Wildberries შესაძლოა სერიოზული ფინანსური და საოპერაციო რისკების წინაშე აღმოჩნდეს. მათ შორისაა საერთაშორისო საბანკო გადარიცხვების შეფერხება ან დაბლოკვა, ფინანსური ინსტიტუტების მხრიდან მომსახურებაზე უარის თქმა, საერთაშორისო პარტნიორებთან ხელშეკრულებების შეჩერება ან შეწყვეტა და მიწოდების ჯაჭვების დარღვევა. გარდა ამისა, სანქციების გვერდის ავლის რისკის

თავიდან ასაცილებლად, შესაძლოა კომპანიასთან თანამშრომლობაზე უარი თქვან ბანკებმა და პარტნიორებმაც.

გაერთიანებულმა სამეფომ Wildberries Bank-ს სანქციები 2026 წლის 16 ივნისს დაუწესა. 23 ივლისს ევროკავშირმა 21-ე სანქციების პაკეტში ორივე ბანკი, Wildberries Bank და Ozon Bank, შეიყვანა. ევროკავშირის ზომები აქტივების გაყინვასა და ბანკებისთვის თანხების ან ეკონომიკური რესურსების მიწოდების აკრძალვას მოიცავს.

ბრიტანული ზომები მოიცავს სატრასტო მომსახურების შეზღუდვას, დირექტორის თანამდებობის დაკავების აკრძალვას, საკორესპონდენტო საბანკო ურთიერთობებისა და გადახდების დამუშავების აკრძალვას. ჯგუფის სხვა კომპანიებზე კონკრეტული შეზღუდვის გავრცელება საკუთრებაზე, კონტროლსა და გარიგების მხარეებზეა დამოკიდებული. Wildberries-ის განცხადებით, ჯგუფს ევროკავშირში აქტივები და საქმიანობა არ აქვს და კიმის სანქცირება ოპერაციებზე გავლენას ვერ მოახდენს. [2, 5, 6, 7, 9]

რატომ მოექცა პლატფორმა სანქციების ქვეშ

ევროკავშირის საბჭო Wildberries-ს რუსეთის ერთ-ერთ უმსხვილეს გადასახადის გადამხდელად ასახელებს. გადასახადები საერთო ბიუჯეტში შედის და სახელმწიფოს სამხედრო ხარჯების დაფინანსების შესაძლებლობას ზრდის. SIPRI-ის შეფასებით, რუსეთის 2026 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი სამხედრო ხარჯები 14.9 ტრილიონ რუბლს, ანუ მშპ-ის 6.3%-ს, შეადგენდა. ცალკეული კომპანიის წილი ამ ხარჯებში საჯარო მონაცემებით ვერ გამოითვლება. [1, 10]

ევროკავშირი პლატფორმას რუსეთის სამხედროების მომარაგების ქსელის ნაწილად აღწერს, რადგან ისინი სამხედრო აღჭურვილობისა და ორმაგი დანიშნულების საქონლის გაყიდვას უწყობენ ხელს. პლატფორმა გამყიდველსა და მყიდველს აკავშირებენ და საქონლის მიღებას საწყობების, დახარისხებისა და მიწოდების ქსელით ამარტივებს. „მედუზამ“ პლატფორმაზე სამხედრო დანიშნულებით გამოსაყენებელი საქონლის შეთავაზებებიც აღწერა, რომელიც EPRC-ის ადრინდელ კვლევაში უფრო დეტალურად არის მოყვანილი. სამხედრო მომხმარებლებამდე მიწოდების სრული მოცულობა უცნობია. კიმის განცხადებით, ანალოგიური საქონელი გლობალურ პლატფორმებზეც იყიდება. კრემლმა საწყობების სამხედრო მიზნებისთვის გამოყენება უარყო. [1, 9, 11]

საკუთარი ბანკი ჯგუფს ვაჭრობისა და გადახდების ერთ სისტემაში გაერთიანების საშუალებას აძლევს. ევროკავშირის დასაბუთებით, Wildberries Bank სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილ მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების პროგრამებში მონაწილეობს. ევროკავშირის საბჭო საბანკო ზომების მიზნად იმ ფინანსური არხების

შეზღუდვას ასახელებს, რომლებითაც რუსეთის სახელმწიფო შემოსავლები მოძრაობს და ომი ფინანსდება. [2, 6]

პარალელურად, უკრაინამ Wildberries-ის ობიექტებზე დარტყმები ივლისის შუა რიცხვებიდან დაიწყო. უკრაინული მხარე ამას კომპანიის მიერ რუსეთის სამხედრო ძალისხმევის მხარდაჭერით ხსნის. ფინანსური სანქციები აქტივებსა და გადახდებზე წვდომას ზღუდავს, უკრაინული დარტყმები კი სასაწყობე ქსელის მუშაობაზე აისახება. ზეწოლის მიზანია გაძვირდეს სამხედრო დანიშნულებით გამოსაყენებელი საქონლის შეძენა და მიწოდება და შეიზღუდოს ფინანსურ არხებზე წვდომა. ფრონტის მომარაგებაზე გავლენა დამოკიდებულია იმაზე, რამდენად სწრაფად მოხერხდება ამ არხების ჩანაცვლება. [1, 2, 9, 11]

Wildberries-ის გაფართოება საქართველოში

ერთი გაცემის პუნქტიდან - სასაწყობე ქსელამდე

2022 წლის 26 ივლისს საქართველოში დარეგისტრირდა შპს „ტრანსკომ გრუპი“, რომელიც მოგვიანებით Wildberries-ის ადგილობრივი ოპერატორი გახდა. პლატფორმამ გაყიდვები 2024 წლის 22 ოქტომბერს ფრანშიზის მოდელით დაიწყო. პირველ ეტაპზე მომხმარებლებს დაახლოებით რვა მილიონი დასახელების პროდუქტი შესთავაზეს. შეკვეთები თბილისში, ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე ერთ პუნქტში გაიცემოდა. შემდეგ გაცემის ქსელი თბილისს გასცდა და პლატფორმაზე გაყიდვის შესაძლებლობა ქართველ მეწარმეებსაც მიეცათ. შეკვეთის გაცემის პუნქტი მომხმარებელს უკვე გამზადებულ ამანათს გადასცემს, საწყობი კი გამყიდველებისგან საქონლის მიღებას, მარაგის შენახვასა და შეკვეთების განაწილებას ემსახურება. ქართულ პორტალზე გამყიდველებისთვის გამოქვეყნებული პირობები საქონლის მიღების, შენახვის, დახარისხებისა და მიწოდების მოდელებსაც მოიცავს. [4, 12]

ოთხი მიწის ნაკვეთი რუსთავთან

კვლევისთვის თავმოყრილი სარეგისტრაციო მონაცემებით, 2026 წლის იანვარში „ტრანსკომ გრუპმა“ ოთხი ნაკვეთი პრივატიზაციის გზით, უშუალოდ სახელმწიფოსგან შეიძინა. ოთხივე თბილისი–წითელი ხიდის საერთაშორისო გზის (ს-4) მე-17 კილომეტრის მიმდებარედ, ერთ უბანშია თავმოყრილი. ს-4 აზერბაიჯანის საზღვრამდე მიდის. გზასა და საბაჟო ინფრასტრუქტურასთან მდებარეობა ამ ტერიტორიას ლოგისტიკისთვის ხელსაყრელს ხდის. ნაკვეთების საზღვრების უწყვეტობა და კონკრეტულ საბაჟო ობიექტამდე მანძილი საკადასტრო რუკით ცალკე დასადასტურებელია. [4, 13, 14]

კვლევაში თავმოყრილი ჩანაწერების მიხედვით, ნაკვეთის საკადასტრო კოდით 02.08.01.039 ფართობია 23 417 მ², კოდით 02.08.01.050 — 68 930 მ², კოდით 02.08.01.122 —

33 322 მ², ხოლო კოდით 02.08.01.051 — 66 852 მ². ოთხივე ნაკვეთის საერთო ფართობი 192 521 მ²-ს, ანუ 19.25 ჰექტარს შეადგენს. [4, 14]

ოთხი ნაკვეთის ერთ უბანში თავმოყრა და ოპერატორის უკვე დოკუმენტირებული სასაწყობე საქმიანობა საფუძველს ქმნის ვარაუდისთვის, რომ მიწა საწყობის ან ლოგისტიკური კომპლექსისთვისაა გამიზნული. პროექტის დანიშნულება, შენობების ფართობი და მშენებლობის ვადები საჯარო მასალებით ჯერ ვერ დგინდება. [4, 15]

საწყობი სოფელ გამარჯვებაში

2026 წლის 28 ოქტომბერს „ტრანსკომ გრუპმა“ გამოაცხადა ტენდერი №69843 სასაწყობე ობიექტში მობილური კავშირის სიგნალის გასაუმჯობესებლად. ტექნიკურ აღწერაში მითითებულია სოფელი გამარჯვება, საკადასტრო კოდი 81.07.04.1006 და დაახლოებით 13 000 მ² ფართობის სასაწყობე ობიექტი. იჯარის ჩანაწერში შენობის ფართობი 12 816.8 მ²-ია, იჯარის დასრულების თარიღი კი 2028 წლის 19 ივნისი. ტენდერის საჯარო ჩანაწერში მონაწილეთა რაოდენობა ნულია. დოკუმენტები ადგენს, რომელ შენობას ასახელებს ქართული ოპერატორი საწყობად და რა სამუშაოს შესრულებას გეგმავდა. [4, 15] „ტრანსკომ გრუპმა“ გარდაბანში მეორე საიჯარო ხელშეკრულებაც გააფორმა. კვლევისთვის მოწოდებული ჩანაწერის მიხედვით, ხელშეკრულება 2025 წლის 16 მაისს ორი წლის ვადით დაიდო და ეხება უძრავ ქონებას საკადასტრო კოდით 81.07.04.700.

ამ ფართობების გარდა, თუ რუსთავთან ლოგისტიკური ცენტრი მოეწყობა, ჯგუფს რუსეთის ფარგლებს გარეთ საქონლის მიღების, შენახვისა და განაწილების დამატებითი გაცილებით დიდი შესაძლებლობა ექნება. შეძლებს თუ არა ის რუსეთში დაზიანებული საწყობების ზოგიერთი ფუნქციის გადაბარებას, დამოკიდებულია კომპლექსის სიმძლავრეზე, მომსახურების ბაზრებსა და ტვირთის მოძრაობის მიმართულებებზე. [4, 9, 17]

WB Taxi-ის გაშვებისთვის მზადება თბილისში

„ტრანსკომ გრუპმა“ 2026 წლის 16 ოქტომბერს გამოაცხადა ტენდერი №69749, 21 ოქტომბერს კი - №69790. ორივე WB Taxi-ის ავტომობილების ბრენდირებას ეხებოდა. მეორე ტენდერი თბილისში დაახლოებით 150 ავტომობილისთვის ფირის დამზადებასა და დატანას ითვალისწინებდა. ტენდერი გაშვებისთვის მზადებას ადასტურებს. გაფორმდა თუ არა ხელშეკრულება, რამდენი ავტომობილი დაიბრენდა, დაიწყო თუ არა მგზავრების გადაყვანა და ვინ იქნება უშუალო გადამყვანი, საჯარო ჩანაწერებში ვერ დგინდება. [4, 18]

ნოემბრის დასაწყისისთვის სერვისი მოქმედებდა ბელარუსში (მინსკი, ბრესტი, გროდნო), ყირგიზეთში (ბიშკეკი, ოში, მანასი) და უზბეკეთის ექვს ქალაქში, მათ შორის ტაშკენტსა და ფერგანაში. სომხეთში 22 სექტემბერს ერევანში ადრეული წვდომის

რეჟიმი ამოქმედდა. რუსეთში ჯგუფმა აპრილში შეიძინა Citymobil-ი, Taxovichkof-ი და Gruzovichkof-ი. უშუალოდ WB Taxi-ის ბრენდით რუსეთში სერვისის ამოქმედება მოძიებული ცნობებით ვერ დადასტურდა. [19, 20]

ნებართვები და მონაცემთა დაცვის რისკი

თბილისში მსუბუქი ავტომობილით ტაქსით გადაყვანას მუნიციპალური ნებართვა სჭირდება. A კატეგორია ქუჩიდან მგზავრის აყვანის უფლებასაც იძლევა და ავტომობილის გარეგნობაზე დამატებით მოთხოვნებს ადგენს. B კატეგორია წინასწარი გამოძახებით მომსახურებას მოიცავს, მათ შორის აპლიკაციით მიღებული შეკვეთებით. ნებართვის მფლობელი შესაბამისი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი. ვის სახელზე იქნება ნებართვები და ვინ აგებს პასუხს მგზავრის გადაყვანაზე, დამოკიდებულია იმაზე, ქართული ოპერატორი თავად მოემსახურება მგზავრებს თუ შეკვეთებს პარტნიორ გადამყვანებს გაუნაწილებს. საქართველოში უკვე მოქმედი Yandex Go საკუთარ თავს საინფორმაციო სერვისად აღწერს და მიუთითებს, რომ მგზავრებს გადამყვანები ემსახურებიან. [18, 21, 22]

ტაქსის აპლიკაცია ამუშავებს მისამართებს, მგზავრობის დროსა და ანგარიშთან დაკავშირებულ ინფორმაციას. განმეორებადი მარშრუტებით შეიძლება ადამიანის საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი ან ყოველდღიური გადაადგილების რეჟიმი გამოიკვეთოს. ამიტომ მნიშვნელოვანია, ვინ მართავს ქართულ სერვისს, სად ინახება მგზავრობის ისტორია და რა საფუძვლით შეიძლება მისი სხვა ქვეყანაში გადაცემა. საქართველოს კანონმდებლობა საერთაშორისო გადაცემისთვის ადგენს პირობებს, მათ შორის სათანადო გარანტიებს ან კანონით განსაზღვრულ სხვა საფუძველს. [23, 24]

2024 წლის სექტემბერში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა დაადგინა, რომ Yandex-ის ტაქსის სერვისის მიმწოდებელმა შპს „რიდეტექ ჯორჯიამ“ ქართველ მომხმარებელთა პერსონალური მონაცემები რუსეთში უკანონოდ გადასცა. კომპანია 4 000 ლარით დაჯარიმდა. [25]

თუ სერვისი ამოქმედდება, Yandex Go-ს რუსულ ჯგუფთან დაკავშირებული კიდევ ერთი პლატფორმა დაემატება. Wildberries-ის ჯგუფი ონლაინვაჭრობისა და სასაწყობე საქმიანობის შემდეგ მგზავრობის შეკვეთების ბაზარზეც შევა. მძღოლების ქსელის შექმნა და მგზავრობის შეკვეთების განაწილება ჯგუფს საკომისიო შემოსავლის მიღების შესაძლებლობას მისცემს. რა მასშტაბს მიაღწევს საქმიანობა და ვისთან წავა საკომისიო შემოსავალი, ქართული ოპერატორის ხელშეკრულებებსა და გადახდის მოდელზე იქნება დამოკიდებული. [12, 18, 22]

Wildberries-ის ქართველი ოპერატორის პოლიტიკური კავშირები

საქართველოში Wildberries-ის ამოქმედებიდან მალევე, საქსტატის ბიზნესრეგისტრის 2024 წლის ნოემბრის ჩანაწერში „ტრანსკომ გრუპის“ პარტნიორად ლაშა მეგრელიძე ფიქსირდება. „ბანკი ქართუს“ ანგარიშგების თანახმად, მეგრელიძე 2023 წელს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და დამოუკიდებელ წევრად დაინიშნა. ბანკის 2025 წლის აუდიტირებული ანგარიშგების მიხედვით, ბანკის პირდაპირი მესაკუთრე ფონდია „ქართუ“, საკუთრების სტრუქტურაში კი უტა ივანიშვილის წილად 35% არის [4, 26, 27, 28].

2024 წლიდან „ტრანსკომ გრუპის“ დირექტორი და 100%იანი წილის მფლობელი გახდა სერგი თვალჭრელიძე, რომელიც ფიგურირებს სახელმწიფო მიწის პროვეტიზაციის შესახებ იუსტიციის სამინისტროსთან დადებულ კონტრაქტებში. შესაბამისად, საჯარო რეესტრის 2026 წლის 11 ივნისის ამონაწერით, „ტრანსკომ გრუპის“ დირექტორი და სრული წილის მფლობელიც სერგი თვალჭრელიძეა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ პოლიტიკური შემოწირულებების ბაზის მიხედვით, თვალჭრელიძემ 2025 წელს „ქართულ ოცნებას“ პირადად 30 000 ლარი შესწირა. [4, 12, 29]

საინტერესოა, რომ სერგი თვალჭრელიძე „ნამა კონსალტინგის“ 2025 წლის 31 მარტის ამონაწერით, კომპანიის დირექტორი იყო და 33%-ს ფლობდა. იმავე კომპანიაში 34%-იანი წილი გიორგი ბარვენაშვილს ეკუთვნოდა. პარლამენტის ოფიციალურ გვერდზე ბარვენაშვილი „ქართული ოცნების“ ფრაქციის წევრად არის მითითებული. „ნამა კონსალტინგსა“ და „ტრანსკომ გრუპს“ ერთი და იგივე იურიდიული მისამართი აქვთ. [4, 12, 30], ბინა, რომელიც სერგი თვალჭრელიძის საკუთრებაშია.

შესაბამისად, ღია წყაროებით დასტურდება, რომ კომპანია Wildberries-ის საქართველოში შემოყვანა, ოპერირება და გაფართოება „ქართუსთან“ და „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული პირების მიერ ხდება.

წყაროები

1. ევროკავშირის საბჭო - განმახორციელებელი რეგულაცია (EU) 2026/2574, 16 ნოემბერი 2026
2. ევროკავშირის საბჭო - განცხადება რუსეთის ომის დაფინანსებაზე ახალი შეზღუდვების შესახებ, 16 ნოემბერი 2026
3. Ozon - აქციონერთა სტრუქტურის ცვლილების შესახებ, 11 ნოემბერი 2026
4. Wildberries საქართველოში - საჯარო რეესტრის მონაცემები
5. გაერთიანებული სამეფო - შეტყობინება Wildberries Bank-ის სანქცირების შესახებ, 16 ივნისი 2026
6. ევროკავშირის საბჭო - განმახორციელებელი რეგულაცია (EU) 2026/1843, 23 ივლისი 2026
7. გაერთიანებული სამეფო - შეტყობინება Ozon Bank-ის სანქცირების შესახებ, 6 აგვისტო 2026
8. OFAC - Ozon Bank-ის ჩანაწერის ამოღება, 31 მარტი 2022
9. Reuters - ევროკავშირის მიერ ტატიანა კიმის სანქცირება, 16 ნოემბერი 2026
10. SIPRI - რუსეთის 2026 წლის სამხედრო ბიუჯეტის ანალიზი, მარტი 2026
11. Meduza - რუსეთის სამხედროებისთვის განკუთვნილი საქონელი Wildberries-სა და Ozon-ზე, 1 სექტემბერი 2026
12. EPRC - კვლევა Wildberries-ის საქართველოში გაფართოების შესახებ, გამოქვეყნებულია BM.GE-ზე
13. საქართველოს მთავრობის №22 დადგენილება - საერთაშორისო გზების ნუსხა, 23 იანვარი 2026
14. ბათუმელები - „ტრანსკომ გრუპის“ მიწის ნაკვეთების შესახებ, ივლისი 2026
15. Etenders.ge - „ტრანსკომ გრუპის“ ტენდერი №69843, 28 ოქტომბერი 2026
16. Wildberries & Russ - ერევანში ახალი ლოგისტიკური კომპლექსის გახსნა, მარტი 2026
17. კომერსანტი - Wildberries-ის ლოგისტიკური დანაკარგები, 2026
18. Etenders.ge - WB Taxi-ის ავტომობილების ბრენდირება, ტენდერი №69790
19. TAFS - WB Taxi-ის გაფართოება უზბეკეთსა და სხვა ბაზრებზე, 5 ნოემბერი 2026
20. Interfax - WB Taxi-ის საპილოტე რეჟიმი ერევანში, 22 სექტემბერი 2026
21. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე - თბილისში ტაქსით გადაყვანის სანებართვო წესი
22. Yandex Go - საქართველოს სერვისის ოფიციალური გვერდი
23. საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ, მუხლი 37
24. სახელმწიფო აუდიტის სამსახური - მონაცემთა საერთაშორისო გადაცემაზე ნებართვის გაცემის წესი
25. Civil Georgia - გადაწყვეტილება Yandex-ის მომხმარებელთა მონაცემების რუსეთში გადაცემის შესახებ, 23 სექტემბერი 2024
26. საქსტატი - „ტრანსკომ გრუპის“ ბიზნესრეგისტრის ისტორია
27. ბანკი ქართუ - კორპორაციული მმართველობის ანგარიში
28. ბანკი ქართუ - 2025 წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება
29. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო - პოლიტიკური შემოწირულებების ბაზა
30. საქართველოს პარლამენტი - გიორგი ბარვენაშვილის ოფიციალური პროფილი

